2015 წლის 16-17 ივლისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდება სერგო (სეირან) მაზმიშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია "ინოვაციური ტექნოლოგიები მეტალურგიასა და მასალათმცოდნეობაში"

კონფერენციის მიზანია: სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინოვაციების განხილვა, უცხოელ კოლეგებთან გამოცდილების გაცვლა-გაზიარება და შესაბამისი სფეროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება. კონფერენციის ორგანიზატორები არიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი და საქართველოს ჩამომსხმელთა და მასალათმცოდნეთა კავშირი.

კონფერენციის სამუშაო თემატიკა მოიცავს შემდეგ საკითხებს: ნანოტექნოლოგიები მეტალურგიასა და ქიმიაში; შავი ლითონების მეტალურგია; ფერადი ლითონების მეტალურგია; შედუღება; ლითონმცოდნეობა; ლითონების თერმული და წნევითი დამუშავება; სამსხმელო წარმოება; პრეციზიული და კომპოზიციური მასალები; ფიზიკური ქიმია მეტალურგიასა და მასალათმცოდნეობაში.

საორგანიზაციო კომიტეტი კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ მეცნიერს. კონფერენციასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია იხილეთ:
http://itmms.fms.org.ge/index.php?r=1